საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 158 ოთხშაბათი, იანვრის 24 (6) 1918 წ. № 158

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ხმები, რომ მოკავშირეები თანხმა არიან გერმან[illegible]ექტზე რუსეთის დანაწილების შესახებ: ამ პროექტით კავკასია ინგლისის გავლენის ქვეშ იქნება.—ინგლის-საფრანგეთის ესკადრამ დარდანელი გაარღვია.—კალედინის შტაბი საბოლოოდ დაბინავდა ნოვოჩერკასკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

კვირას, 28 იანვარს, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, გადახდილი იქნება პანაშვიდი

ქიტა აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი საფლავზე (დიდუბეში) დაიწყება ნაშუადღევს 12 საათზე.

სოფელ ცილონას, 26 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

მელიტონ გლახუასძე მიქელაძის,

რასაც აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: ფაფალა, ელენე, ბუჟუჟალა და ქეთინო მიქელაძეები, რძალი ლუბა მიქელაძისა, დები დაფარო ბეჟანოსკისა და მინადორა ჩხეიძისა, რძალი და ძმის შვილი ეკატერინე და ბონდო მიქელაძეები.

[illegible]: ავქსენტი და ევსტატი პავლეს ძენი, ნინა ალექსანდრეს ასული, მარიამ გაბრიელის ასული და ოლიჩკა და თამრიკო ტყემალაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი ძმის წულის—[illegible] სამზღვარზე მოკლულის

გრიგოლ (გრიშა) დომენტის ძის ტყემალაძის

გვამის გარდმოტანას სოფელს ბაჯითში, სადაც დაკრძალვა მოხდება 25 ამ მდგომარე იანვარს. 102

ქართული კლუბი

ხუთშაბათს, 25 იანვარს

ქართველ მსახიობთა კავშირი

მართავს თავის

პირველ საღამოს

მოწყობილი იქნება მრავალი გასართობები სცენასა და დარბაზებში. **ვ. აბაშიძე** საზოგადოებას უჩვენებს ქართველ მსახიობის მომავალს, **ვ. გუნია** ერთ-ერთ წამალს შესთავაზებს, **ე. ჩერქეზიშვილი** ბედსა სწყევს და სხვ. ყველა მსახიობნი ეცდებიან საღამოზე დამსწრეთა პატივისცემას, სამსახურსა და ჯიბის შეთხელებას. შესრულებული იქნება **მელიტონ ბალანჩივაძისა** ხოროთი და ორკესტრით მუსიკალური სურათი მისივე ხელმძღვანელობით. მონაწილეობას ღებულობს ქ-ნი **ოულგინა.** აგრეთვე გამართული იქნება საუკეთესო ძალთა მონაწილეობით **საკონცერტო განყოფილება** და შესრულებული იქნება შარჟები **თაგუნასი** სცენაზე თავმჯდომარედ მოწვეულია **სან. უანჩელი** და სცენაზე დაშვენებული იქნება **პაოლო იაშვილის ექსპრომტებით.**

საღამოს დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

1018 საღამოს გამგეობს მსახ. კავშირის საბჭო.

პური

23 იანვრიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყო დარიგება

პურის ბარათების ახალ სერიისა

(თებერვალი)

პურის ბარათებს აძლევენ სასურსათო ბარათების წარდგენისთანავე.

დაწესებულებანი და ორგანიზაციები პურის ბარათებს მიიღებენ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების საპურო ბიუროდან, რისთვისაც უნდა წარადგინონ სია მოსამსახურეთა და მათი სასურსათო ბარათები.

სახლის კომიტეტმა უნდა წარადგინონ საუბნო ბიუროებში თავიანთ წევრთა სია და მათი სასურსათო ბარათები პურის ბარათების ახალ სერიის მისაღებად.

1054 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სახამ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 24 იანვარს, გაიმართება

გრანდიოზული სასპორტო წარმოდგენა

დასის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. მონაწილეობენ კომიკები ძმ. იონაში, აკრობატები კამო, მოჯირითე ვლადიმიროვი, მსროლელი ქალი ვიოანი, ზანგის ქალი ქ-ნ ბონ-ბონი, ბოლ და სხვ. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ევსტიფეევი და ქედელი, 2. ბრონისლავსკი და სატრული, 3. ქლინი და იაგუარი, 4. ზბიშკო ციგანევიჩი და ჯოე ბორა, 5. დობრინია და ვანო მიდელაური. დასაწყისი ზუსტად 8 ს. დასასრული 12 ს.

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება ბენეფისი არბიტრის ვლოდია კვიატკოვსკისა. მალე გაიხსნება საზამთრო სეზონი. მოდიან ახალი არტისტები. 100

მოქალაქენო!
აირჩიეთ სახლის კომიტეტები

მძიმე დროში ვცხოვრობთ, ტრანსპორტი შეწყდა და სურსათის საკითხიც უმწვერვალესამდე გამწვავდა. სურსათის მიღება რომ გაადვილდეს, აუცილებლად საჭიროა თვითეულ რაიონში მოქალაქეებმა თვითმოქმედება გამოიჩინონ. **ამისთვის საჭიროა მოქალაქენი შეერთდნენ სახლის ორგანიზაციებში.**

რადგან მცხოვრებნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ იშოვიან სურსათს (და განსაკუთრებით პურს) და უშინაურეს სურსათით დარჩნენ, ისინი დუქნების გაღებამდე რამდენიმე საათის წინ რიგში დგებიან. ამ „კუდების" თავიდან ასაცილებლად მოქალაქეებმა უნდა მოაწყონ **სახლის ორგანიზაციები.**

უაზრო და უნაყოფო დგომა რიგში, საზიანოა არა მარტო კერძო ბინისთვის ან ოჯახისთვის, არამედ საზოგადოებისათვის. ვისაც უნდა ამ ბოროტებასთან ბრძოლა უნდა ხელი შეუწყოს **სახლის ორგანიზაციების კომიტეტების** შედგენას.

სხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებმა მოსპეს ის გრძელი, გაუთავებელი „კუდები" და ბოროტმოქმედება, სასურსათო ბარათების უკანონოდ მითვისებით რომ იყო გამოწვეული. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ გაკვეთილით და რაც შეიძლება მალე შევადგინოთ **სახლის ორგანიზაციები.**

სახლის ორგანიზაციების მიზანი ფართოა და მოქალაქეთა თვითმოქმედებას და ინიციატივისაც ფართო ხასიათს აძლევს. იჩქარეთ, გაეცნოთ მათ და მოითხოვეთ უფასოდ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები, თუ **როგორ შეადგინოთ სახლის ორგანიზაციები.**

ვისთვისაც ხელსაყრელი არის გრძელი „კუდები" და მოქალაქეთა აღშფოთება, ბოროტმოქმედება სურსათის დანაწილებაში ის სახლის ორგანიზაციების წინააღმდეგი იქნება. **ნუ დაუჯერებთ** მათ და **დაუყოვნებლივ შეუდექით სახლის ორგანიზაციების მოწყობას.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტების, დაბეჭდილ ინსტრუქციების და განმარტებების მიღება შეიძლება საუბნო, საბარათო ბიუროში 9 საათიდან 1 საათამდე და 5—7 ს.

შეერთდით სახლის ორგანიზაციებში და აირჩიეთ სახლის კომიტეტები.

1918 წლის, იანვრის 12. 1025

ინსტრუქცია სახლის კომიტეტს

1. საჭიროა, რაც შეიძლება მალე (პირველ თებერვლამდე) მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით, ამისთვის საჭიროა მოუწოდოთ მსურველთ შეერთდნენ ამ დღეებში ჯგუფ-ჯგუფად პურის მისაღებად.

2. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რომელ ფურნედანაა სასურველი პურის მიღება და წარუდგინოთ ამის შესახებ საუბნო სასურსათო კომიტეტს შემდეგი შინაარსის განცხადება:

საუბნო სასურსათო კომიტეტს

. . . . . სახლის კომიტეტისაგან . . . . .

უბნის . . . . . ქუჩ. № . . .

განცხადება.

პატივი გვაქვს გთხოვოთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება პურის მოსაცემად სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . ფურნიდან . . . (რაოდენობა პურის) . . . . (ამდენი და ამდენი კაცისთვის).

თავმჯდომარე . . .

3. საჭიროა მოთხოვნის უწყებების შეძენა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

4. ხელმოწერილი განცხადება უკეთესია თვითონ გაგზავნოთ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის (იხ. სავალდებულო დადგენილება 3 და 4)

5. საჭიროა თვითეულ ბინას საკუთარი ჩანთა ჰქონდეს ბინის ნომრით ან ბინის დამქირავებლის გვარით, რომელშიც მეფურნე ჩააწყობს აღნიშნული ბინისთვის საჭირო პურს.

6. საჭიროა დაწესდეს რიგი ბინებისთვის, თუ როდის რომელი ბინის პატრონია (მორიგეობით) ვალდებული წავიდეს პურის მოსატანად და ეს წესი გამოკიდულ იქნას თვალსაჩინო ადგილას.

7. მორიგე ბინა ვალდებულია საღამოსვე, არა უგვიანეს 8 საათისა, მიიტანონ ჩანთა და ფული (ხურდა ფული, რომ მეფურნე არ დააბრკოლონ ფულის დახურდავებით).

8. სასურსათო ბარათების მიცემის დროს ყოველთვის საჭიროა თვალყური ადევნონ და შეამოწმონ ოჯახის შემადგენლობა თვითეულ ბინის დამქირავებლისა.

9. საუბნო საბარათო ბიურო ბარათებს მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს.

10. სახლის კომიტეტები უგზავნენ საუბნო საბარათო ბიუროს მოთხოვნების უწყებებს ბარათების მისაღებად და ამასთანავე ძველ გახმარებულ ბარათებს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1043

ინსტრუქცია
სახლის კომიტეტების დასაარსებლად.

2—3 მცხოვრები (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მცხოვრებთა კრებას, რასაც აცხადებენ ორი დღით ადრე და განცხადებას გამოჰკიდებენ დასანახ ადგილზე.

შენიშვნა: თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია, **იწვევენ** მეზობელ სახლთა მცხოვრებთ.

ნიმუში უწყებისა

უწყება.

ყველა მცხოვრები სახლში (სახლის პატრონის გვარი) №..... ქუჩაზე მოიწვევა საორგანიზაციო კრება ბინა №.... ამა და ამ საათზე, ამა და ამ რიცხვზე.

საგანი სხდომისა:

1) პროექტი სახლის ორგანიზაციისა.
2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

საინიციატივო ჯგუფი.

კრების დანიშვნა სჯობიან საღამოსათვის, **ან კვირა** დღეს.

კრებას ხსნის საინიციატივო ჯგუფის წევრი და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე კრებისა და მდივანი. უკანასკნელი ჩასწერს **გვარებს** იქ მყოფთა და ბინების №№, სადაც ისინი სცხოვრობენ და აწარმოებს სხდომის ოქმებს.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საინიციატივო ჯგუფის რომელსამე წევრს ეძლევა სიტყვა და იგი კითხულობს სახლის ორგანიზაციათა პროექტს.

შენიშვნა: დაბეჭდილი პროექტები წესდებისა შეიძლება მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარე **წინადადებას იძლევა** აირჩიონ კომიტეტის **წევრთა** იმდენი რიცხვი, როგორც წესდებაში იქნება.

კომიტეტის **არჩევის** შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ განცხადებას სახლის კომიტეტის რეგისტრაციისათვის.

ნიმუში განცხადებისა.

საუბნო . . . სასურსათო კომიტეტს.

ამა და ამ ქ. № (სახლში მცხოვრებთა)

განცხადება.

ამით პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენ, **ქვემორე** ამისა **ხელისმომწერნი** შევიკრიბენით (რიცხვი და თვე) 1918 წ. ავირჩიეთ სახლის კომიტეტი (ამდენი და ამდენი კაცისაგან). სახელდობრ (სახელი და გვარები).

ხელის მოწერის ადგილი. 1039

სახლის ორგანიზაციათა წესდების პროექტი

შემუშავებული სასურსათო გამგეობის საგანგებო კომისიისაგან.

1. სახლის ორგანიზაციათა მიზანი:

1. შემსუბუქება სასურსათო კრიზისისა (ბრძოლა პურის, შაქრის და სხ. რიგებთან).

2, მოწესრიგება ბინის პატრონთა და სახლის პატრონთა ურთიერთობისა და ბინის პატრონთა და ბინის დამქირავებელთა დამოკიდებულებისა.

3. მოწესრიგება ბინის პატრონთა და მათ მოსამსახურეთა ურთიერთობისა.

4, სახლების სასანიტარო გაუმჯობესება.

5- ბრძოლა ბინის უშოვნელობასთან.

2. სახლის ორგანიზაციის შემადგენლობა.

სახლის ორგანიზაციის წევრად ითვლება ყველა, ვინც სახლის ტერიტორიაზე სცხოვრობს, 18 წელი შესრულებია და განსაზღვრულ საწევროს შემოიტანს.

3. სახლის ორგანიზაციის გამგენი.

სახლის ორგანიზაციის საქმეების **პატრონ-პატრონია:**

ა) **საზოგადო კრება,**
ბ) **სახლის კომიტეტი.**

საზოგადო კრება კანონიერია, თუ კი მას **ესწრება** ყველა **წევრთა** ერთი მეხუთედი ან ბინათა წარმომადგენლების ერთი მესამედი.

თუ ამდენი ვერ გამოცხადდა, ინიშნება მეორე საზოგადო კრება, არა უგვიანეს ორი დღისა, რომელიც კანონიერი იქნება, რამდენიც **უნდა** გამოცხადდეს.

საზოგადო კრება ირჩევს სახლის კომიტეტს (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. თანამდებობის პირთ თავის შორის ირჩევს სახლის კომიტეტი) და სარევიზიო კომისიას 3 პირისაგან, რომელნიც სახლის კომიტეტში არ შედიან.

საზოგადო კრება იმართება არა უმცირეს ერთისა თვეში.

გადაწყვეტილებანი მიიღება უბრალო ხმის უმეტესობით. თუ **ხმები** გაიყო, თავმჯდომარის ხმა სძლევს.

სახლის კომიტეტს აბარია სახლის ორგანიზაციათა საქმეები, ასრულებს საზოგადო კრების დადგენილებებს და თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს საზოგადო კრებას წელიწადში ორჯერ.

4. სახლის ორგანიზაციის საშუალებანი

1. საწევრო გადასახადს წევრი იხდის ყოველ თვე, აგრეთვე შესასვლელს, იმდენს, რამდენსაც სახლის მცხოვრებთა საზოგადო კრება დააწესებს.

2, შემოწირულებანი;

3. სპეციალური მიზნებისთვის დებული გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავიანთი ბეჭედი ქუჩის და სახლის ნომრის აღნიშვნით. 1040

სახლის კომიტეტები

ვინაიდან საჭიროა [illegible] მცხოვრებთა **შორის** ფართო პოპულარიზაცია შესახებ სახლის ორგანიზაციებისა, ტფილისის ქალაქის გამგეობა მიმართავს თხოვნით ყველა საზოგადოებრივ და მთავრობის დაწესებულებებს, სკოლებს, პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, საპროფესიო კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებათ დაეხმარონ მას სახლის კომიტეტების პოპულარიზაციის და ორგანიზაციის საქმეში.

სახლის კომიტეტებისთვის საჭირო მასალა მოიპოვება ყველა უბნების საბარათო ბიუროებში.

1041 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

კახელ მევენახეთა საზოგ. „კახეთის“ გამგეობა

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ქ. თელავში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია:

1. წევრთა სიის გადასინჯვა წესდების მე-17 და მე-21 მ. მიხედვით.
2. განხილვა და დამტკიცება 1916—17 წწ. ანგარიშისა და მოხსენებები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1917—18 წწ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა.
4. არჩევნები: ა) გამგეობის თავმჯდომარის თ. ლ. ა. ჩხეიძის და გამგ. წევრის თ. ი. ი. ჯანდიერის მაგიერ, რომელნიც თავს ანებებენ სამსახურს ვადის გასვლამდე, ბ) გამგ. წევრის დ. მაჭავარიანის, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა და გ) სარევიზიო კომისიის ორი წევრისა.
5. მიმდინარე საქმიანი.

რადგან ეს კრება მეორეთ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 101

ჩვენის ხალხის საყურადღებოდ

ცხადდება,

რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭო სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე. 1055

მიიღება ხელის მოწერა

ორკვირეულ, ხალხურიერი მთავრობისგან დამოუკიდებელ, ჟურნალ

„ახალ სიტყვა“-ზე

ჟურნალის მიზანი საქართველოს ეკლესიის ფაქტიური ავტოკეფალიის და ნამდვილ სახარების ნიადაგზე. ჟურნალს იცავს ტფილისის და საქართველოს პროვინციების სამღვდელოების და ერის კავშირი. ჟურნალი ყოფილი ჟურნალ „ხიტყვის“ ფაქტიურ ხელმძღვანელთა თაოსნობით. მ წლისთვის ახალი თანამშრომლებიც, რომელთა სია გამოცხადდება თვით ჟურნალში. საგამომცემლო ამხანაგობის ხელფასი გადასახადი (3 ი) ათი თუმანია. ხელისმოწერის ფასი ექვსი თვით ექვსი მანეთია (თუ მიმდევი პირობები არ შეიცვალა) ფული მიიღება რედაქციის მოლარე დეკ. ანტონ თოთიბაძესთან: ტფილისი, სიონის საკათედრო ტაძრის ეზო. სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილის სახელზე: ტფილისი, ავლაბარი, კამენოვსკის ქ., № 47.

ჟურნალ „ახალ სიტყვის“ და მაარსებელთა რწმუნებული-რედაქტორი
მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი

96

ტფილისი, 24 იანვარი 1918 წ.

სეიმის გახსნა ამიერკავკასიის სეიმი გაიხსნა. პირველი დღე სეიმის მუშაობისა მხოლოდ თავმჯდომარის ამორჩევაში გამოიხატა, როგორც ეს საზოგადოდ ხდება და ჩვეულებრივ მშვიდობიანობის დროს. ვერაფერს ვიტყვით სეიმის ხანგრძლივობისას, შეიძლება მალე მოხდეს მისი რეკონსტრუქცია, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავთ: საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები გარეგნობა, რაც შეიძლება ნაკლები ლაპარაკი და პირდაპირ საქმის გაკეთება.

დღევანდელ ჩვენი ცხოვრებისათვის საზრუნავ საგანია იმ პირობების გამორკვევა, რომელნიც სეიმის საქმიანობას ხელს შეუწყობენ. ამ მხრივ უდიდეს მასალას წარმოადგენს ადგილობრივ ძალების „რევოლუციონური“ მუშაობის წარსული და თვით რევოლუციის მსვლელობის ხასიათი და საზოგადოებრიობის მამოძრავებელ დემოკრატიის მიზანი. მართალია კომისარიატის თავმჯდომარემ—ბ. გეგეჭკორმა სეიმის პირველსავე სხდომაზი ამაყად განუცხადა დეპუტატებს, რომ კომისარიატის წევრები ყოველ წუთს შეიძლებენ წარსული თავიანთი მოღვაწეობის ანგარიშის ჩაბარებას, მაგრამ ჩვენც სწორედ ამ გარემოებას აღვნიშნავთ და ვამბობთ, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი სწორედ იმან დაღუპა, რომ მას წევრთა მოღვაწეობის დახასიათებისათვის საკმაოა ფეხზე წამოდგომა და ზოგადი ფორმულებით ლაპარაკი. სეიმმა უნდა სავსებით იგრძნოს ამ უბადრუკობის მიზეზი და მიზნად დაისახოს, რომ თვითონ სეიმმა და მისმა მთავრობამ ისე იმუშაოს, რომ მომუშავეთ ასე ადვილად და ყოველ წუთს არ შეეძლოთ ნამუშევართა ჯამის გაკეთება, როდესაც მუშაობა საოცრად გართულებულ ცხოვრებას ეხება.

კომისარიატის უმოქმედობის მთავარი მიზეზი წევრთა ფუარგისობაში როდი მარხია. რაც ლაძე და გეგეჭკორს, მესხიშვილს და გობეჩიას ყოველთვის საკმაოდ გამოიყენებს ყოველი მთავრობა, მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კომისარიატმა საზოგადოებრივი ნიადაგი დაჰკარგა ხალხში და უნიადაგო მთავრობას არც გაკეთება შეეძლო რისიმე, ამიერკავკასიის კომისარიატი ემყარებოდა მენშევიკების საზოგადოებას და უნდა ითქვას აშკარად და გადაჭრით: მენშევიკების პოლიტიკა უძლური გამოდგა პრაქტიკაში, რევოლუციონური კანონმდებლობა ვერ მოახერხა, მიმბაძველობაშიაც სუსტი აღმოჩნდა და მით უფრო დაუძლურდა, რომ რევოლუციის გზას ასცდა და პარტიის რევოლუციონერ ფრაზეოლოგიის შორის რევოლუციონერ ბრძოლის და მოქმედების მაგიერ. ეხლანდელ საზოგადოებრივ განწყობილებაში ისევ და ისევ რევოლუციონერ ელემენტებს უნდა ვეყრდნობოდეთ, ისევ და ისევ რევოლუციონერ მიმდინარეობიდან უნდა ვეძებდეთ ხსნას, რადგან არც ეროვნული და არც მუშათა საკითხი გადაწყვეტილი არ არის და მენშევიკებმა ეს საკითხები ვერ გადასწყვიტეს. იმიტომ, რომ რევოლუციონურმა ეროვნულმა და სოციალურმა ძალებმა სხვაგან და სხვა პირობებში დაიწყეს თავის მიზნების [illegible], ესე იგი—კომისარიატის გარეშე—და ამიტომაც გარიყა კომისარიატი.

11 თვის განმავლობაში მენშევიკებმა არაფერი არ მოგვცეს. სეიმმა უნდა აანაზღაუროს დანაკლისი. ეს მოხდება თუ ჩვენ განვახორციელებთ რუსეთის დამფუძნებელ კრების დადგენილებას, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ სეიმის წევრებმა. ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ ეროვნულ ავტონომიის განხორციელებას, ეროვნულ დამფუძნებელ კრებას, ეროვნულ პარლამენტს, ეროვნულ მთავრობას. მოვითხოვთ ეროვნულ ერთეულების თანამშრომლობას, ფედერაციას. მოვითხოვთ დაუყონებლივ მიწის საკითხის გადაჭრას მიწის მუშა გლეხობის სასარგებლოდ. მუშათა ფართო უფლებების აღიარებას, მოვითხოვთ ნამდვილ რესპუბლიკას, მტკიცე მთავრობას, მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე, მოვითხოვთ ანარქიის მოსპობას და მშვიდობიანობის ჩამოგდებას.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ ძველ ჰანგებზე განაგრძობს წერას:

რუსეთის ორიენტაციაზე მდგომა და იმავე დროს ადგილობრივ საქმეების დამოუკიდებლათ მოწყობა რუსეთის დემოკრატიის საერთო პლატფორმის ნიადაგზე—აი ეს უნდა იყოს ამიერკავკასიის მთავრობის გეზი.

ეს მით უმეტეს მას შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევა დიდი ხნით გადაიდო.

ამის მიხედვით უნდა შესდგეს ახალი მთავრობა.

დღეს ადგილობრივ პოლიტიკას ოფიციალურად მუშათა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრი აწარმოებს.

ეს ვერ ჩაითვლება ნორმალურ მდგომარეობად. საბჭოები რევოლუციის ბურჯია, ისინი კრიჭაში უდგანან მთავრობას და დემოკრატიულ ბაზიდან გადახვევას შეუძლებლად ხდიან. მაგრამ არც შემადგენლობით, არც არჩევნების წესით საბჭოები არ გამოხატავენ მთელი ხალხის ნება-სურვილს, ამიტომ, რომ ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგეს, რომ მოეწყოს მთავრობა მთელი ხალხის თვალში ავტორიტეტით შემოსილი, საჭიროა შესდგეს ორგანო მთელი ხალხის მიერ არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით პროპორციონალურ წარმომადგენლობის ნიადაგზე.

ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ სეიმი.

მაშასადამე, არა ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრება და ერების დამფუძნებელი კრებები, როგორც ნაციონალისტები ამბობენ. არა საბჭოების მთავრობა, რასაც ბოლშევიკები მოითხოვენ, არამედ ამიერკავკასიის საოლქო სეიმი—ასეთია, ჩვენის აზრით, ერთად ერთი სწორი გზა, რომელიც მოსალოდნელ ანარქიისაგან გვიხსნის და მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებას ხელს შეუწყობს. ამ სეიმს უნდა გადაეცეს ყველა ადგილობრივი საქმეები, სეიმი საბჭოებზე დაყრდნობილი უნდა გახდეს ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი.

თავის მოტყუებაა ამის ფიქრი, რომ ვითომც სეიმი გამოხატავდეს კავკასიის ხალხის ნება-სურვილს. სეიმი შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ როგორც პალიატივი, როგორც გარდამავალი დაწესებულება, რომლის დანიშნულება არ უნდა იყოს მხოლოდ, რომ დაუყონებლივ შეჰკრას ზავი, გამიჯნოს ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეულები და ხელი შეუწყოს ეროვნულ რესპუბლიკების დაარსებას, რომ მერე შესდგეს ამიერკავკასიის ფედერატიული ანუ უკეთ კონფედერატიული მთავრობა.

⁂

გაზ. „საქართველოში“ გ. ქიქოძე ითვალისწინებს დამოუკიდებელ საქართველოს და სწერს:

დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება ისეთი მძიმე საქმეა რომ ერის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს ასჯერ გაზომვა ჰმართებთ, სანამ ერთხელ გადასჭრიდნენ. ალბანელებმაც კი დაიარსეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოვიდა სახეირო. თუ საქართველოს ფართო ტერიტორიული სარბიელი არ ექნა, თუ ჩვენი სამშობლო ვიწრო საკანში მოჰყვა, თავისუფლების იდეა სრულიად დაჰკარგავს აზრს, როგორც ეს მოხდა სერბიასა ან [illegible]. ვითომდა პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყანა, სხვისი ვასალი გახდება კულტურულად და ეკონომიურად. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, დიდი ეროვნული ალფრთოვანებისა, ენერგიისა და დისციპლინის გამომჟღავნებაა საჭირო, რომ ჩვენი ქვეყნის სხეული ჭამლყვავებმა არ დასძგნონ და ჩვენს პერანგზე წილი არ ყარონ არამკითხე პრეტენდენტებმა.

სრული სიმართლეა: დამოუკიდებლობა ადვილი სათქმელია, ხოლო ადვილი არაა მისი განხორციელება. მაგრამ არ გვესმის, რას ნიშნავს „ფართო ტერიტორიალური სარბიელი“? თუ იგი გულისხმობს ეროვნულ დემოკრატიის „იმპერიალისტურ“ სულის კვეთებას, მაშინ ჩვენ ქვეყანს სწორედ უდიდესი ხიფათი მოელის.

ეროვნული საბჭო

17 იანვარს შესდგა სახალხო განათლების სექციის მორიგი სხდომა. სექციამ მოისმინა ვ. ბურჯანაძის მოხსენება და სავსებით მიიღო იგი. ამ მოხსენების თანახმად:

1. სასკოლო სექციამ, როგორც ეროვნულ საბჭოსა და ერის წინაშე პასუხისმგებელმა ორგანომ სახალხო განათლების სფეროში, უნდა იკისროს საქართველოში და საქართველოს გარეშე არსებულ ყველა ქართულის და ტიპის სკოლათა ზედამხედველობა, მართვა-გამგეობა, საცენტრალო ფუნქციები, ხოლო ამისათვის სექციის შემადგენელ წევრთა შორის განაწილებულ უნდა იქმნას შრომა: სექციის ერთ ერთ წევრს დაეკისროს სახალხო პირველ-დაწყებით და უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლების გამგებლობა, მეორეს საშუალო სკოლებისა (გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, და სხ.); მესამეს—უმაღლესი და სკოლის გარეშე განათლების საქმისა. მეოთხეს—სპეციალური სასწავლებელთა (სახელოსნო, სამეურნეო, ჭრა კერვისა, ხელსაქმისა და სხ.) მეხუთეს—წიგნების გამოცემლობისა!

2 კოოპტაციის წესით მოწვეულ პირთა საშუალებით სექციამ უნდა გააფართოვოს წრე, რათა შესაძლებელი გახდეს მრავალი სხვა ხასიათის კომისიის შედგენა. ასეთის წესით გაფართოვებულ წრეს დაერქმევა სასკოლო სექციასთან არსებული ქართული პედაგოგიური საბჭო.

3. ამ საბჭომ უნდა აირჩიოს კომისიები: 1) საბავშვო წიგნების გამომცემელი, 2) სკოლებისათვის სახელმძღვანელო გეგმისა და პროგრამების შემმუშავებელი, 3) არსებულ სახელმძღვანელო წიგნების გადამთვალიერებელი და დამფასებელი, 4) ახალი სახელმძღვანელო წიგნების შემდგენელი; 5) სახელმძღვანელო წიგნების გამომცემლობის საქმის მეთვალყურე. 6) სალექციო ბიუროდან მასწავლებლებისათვის კურსების მომწყობი, 7) საეგზამენო, 8) სარეკომენდაციო, 9) საპრემიო ჟიური და სხ.

1) საბავშვო წიგნების კომისია. აღნიშნული კომისიის ფუნქცია: არსებულ საბავშვო ჟურნალების ხელმძღვანელობა, ზრუნვა შინაარსის მხრით ჟურნალების გაუმჯობესებისათვის; არსებულ საბავშვო და საყმაწვილო წიგნების გადათვალიერება, ამ წიგნების კონცენტრირება დალაგება და კატალოგის შედგენა, საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილ-ნაკადულში“ მოთავსებულ მასალათა ამოკრება და წიგნებად გამოცემა, ახალი საბავშვო წიგნაკების შედგენა, რუსულ და ევროპულ ენაზე არსებულ საბავშვო წიგნაკების ამორჩევა სხვა და სხვა სამეცნიერო და სკოლის საფეხურთა დარგების მიხედვით, არჩეულ წიგნაკების თარგმნა, წიგნაკების დასურათება, ბუნდოვანი სურათების დამზადება და სხვ.

2) პროგრამების შემადგენელ კომისიაში უნდა შევიდნენ ეგრედ წოდებული საგნობრივი კომიტეტები ე. ი. თითოეული საგნის მასწავლებელთაგან სდგება ქვეშე კომისიები: ფიზიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების-მეტყველების, ალგებრის, კანონმდებლობის, სახელმწიფო ფულების, პოლიტიკურ ეკონომიის, ბუღალტერიის და სხ.

არსებულ სახელმძღვანელო წიგნების და გამოსაცემად დამზადებული მასალის გადასათვალიერებლად და შესაფასებლად არჩეულ უნდა იქნას განსაკუთრებული კომისია. კომისიაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით წიგნების ავტორებმა. ეს კომისია ადგენს გამოცემულ წიგნების სიას. ადგენს იმ წიგნების სიასაც, რომელთა გამოცემა საჭიროა და იწვევს სხვა და სხვა სპეციალურ დარგებიდან მცოდნე პირებს. ეს მოწვეული პირები ანაწილებენ თავიანთ შორის შრომას და კისრულობენ დანიშნულ ვადაში წიგნების შედგენას. ახლად შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები გადაეცემა განსახილველად და შესაფასებლად სპეციალურად ამ მიზნისათვის შემდგარ კომისიას. გამოსაცემად მოწონებული წიგნები გადაეცემა ტექნიკურ კომისიას, რომლის მოვალეობას ასრულებს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ამასრულებელი ორგანო, გამგეობის ან განსაკუთრებული კომისიის სახით, ყოველგვარი წიგნების ტექნიკურად გამოცემის საქმეს აწარმოებს წ. კ. გ. საზოგადოება ეროვნულ საბჭოს სასკოლო სექციის ერთ-ერთი წევრის მეთვალყურეობით (წ. კ. გ. ს. ევალება იქონიოს საკუთარი სტამბა და წიგნების საკაზმავი სახელოსნო).

ვინაიდან გაეროვნებულ სკოლებისათვის მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი მცირეა და ეროვნულ სკოლათა კორპორაციის შემადგენლობა ამ მხრით დანიშნულებას თითქმის სრულიად არ უპასუხებს, აუცილებლად საჭიროა ეხლავე მოეწყოს მოკლევადიანი პრაქტიკული და თეორეტიული ხასიათის კურსები, რომლის მოსმენა სავალდებულო უნდა იქნეს სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის.

ეგრედ წოდებული საეგზამენო, ანუ გამომცდელი კომისიის მოვალეობა იქნება გამოსცადოს თვით-განვითარების საშუალებით მომზადებული პირები, რომლებიც განაცხადებენ სურვილს სახალხო სკოლის მასწავლებლობისას. გამოცდის დროს ხსენებული კომისია ხელმძღვანელობს წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით.

ამა თუ იმ სპეციალურ დარგში მომუშავე სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნის შემადგენელთა წასახალისებლად და გასამხნევებლად უნდა დაინიშნოს პრემიები არა ნაკლებ 500 მან. პრემია მიეცემა იმ პირს, რომლის თხზულება საუკეთესოთ, იქნება ცნობილი, ხოლო დაფასება საპრემიოთ წარმოდგენილ წიგნებისა უნდა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას ანუ ჟიურის. ჟიურის შემადგენლობა ცვალებადი იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი სამეცნიერო დარგიდან იქნება წარმოდგენილი ნაწარმოები. ჟიურის მიერ მოწონებული და დადასტურებული წიგნი გადაეცემა გამოსაცემად ტექნიკურ კომისიას.

სასკოლო სექციის ყოველგვარი დადგენილება, რომლის გამოქვეყნება აუცილებელ საჭიროდ იქნება აღიარებული, უნდა იბეჭდებოდეს პერიოდიულ გამოცემაში ყოველ კვირეულში, ან ყოველ თვიურში. ამ მიზნისთვის სექციას შეუძლიან გამოიყენოს უკვე არსებული პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, რომლის რედაქტორადაც არის გამოცდილი მასწავლებელი ლ. ბოცვაძე. ჟურნალს ეძლევა ი. გოგებაშვილის ანდერძის დაგვალებით ყოველ წლიური დახმარება 400 მანეთი. სექციამ რომ გადასდოს კიდევ 1000 მან, საკმარისი იქნება ჟურნალის არსებობისთვის, რასაკვირველია, ხელის მომწერთაგან შემოსულ ფულთან ერთად, ხოლო ჟურნალს, რომ საზოგადოებრივი ხასიათი მიეცეს აუცილებლად საჭიროა შესდგეს სარედაქციო კოლეგია, რომელიც რედაქტორის ხელმძღვანელობით გაუძღვება ჟურნალის გამოცემის და გავრცელების საქმეს. კოლეგია ვალდებული უნდა იქნეს აწარმოვოს ჟურნალის გამოცემაზე გაწეული ხარჯების ანგარიში.

საყოველთაო [illegible] პირველ-დაწყებით სწავლის თანდათან განხორციელებლად და ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო [illegible] უნდა [illegible] ორგანო [illegible] სკოლების მმართველ კომისიებს, მათ უნდა დაევალოს დაახლოვებით ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

სასკოლო სექციას უნდა ჰქონდეს საკმაო ფართე ბინა, რომელიც უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 4 დიდი ოთახისა.

სექციამ უნდა გამოიწეროს რუსეთში არსებულ ყველა საპედაგოგიო და საბავშვო ჟურნალები, ახალი წიგნები თანამედროვე პედაგოგიის ლიტერატურიდან, პიროგოვის საზოგადოების გამოცემანი: სასკოლო შენობათა გეგმები, ტაბულები და სხვა. ქალაქისა და ერობათა თვითმართველობების სახალხო განათლების შესახები ანგარიშები, ერობათა სახელოსნოების ნაწარმოებთა კატალოგები, კოლექციები, ამნაირად შექმნის ეხლავე ბიბლიოთეკას და საძირკველს ჩაუყრის მომავალ ეროვნულ პედაგოგიურ მუზეუმს, რომლის საჭიროება ყველასათვის ცხადზედ-უცხადესია.

მოხსენებაში აღნიშნულ თითოეულ მუხლის შესახებ დაწვრილებითი განმარტების შემუშავება მიენდო ვ. ბურჯანაძეს; მასვე მიენდო მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა. სექციამ განიხილა აგრეთვე სხვა მიმდინარე კითხვებიც.

რუსეთის დამფუძნებელ კრების ადგილობრივ წევრთა კრება

22 იანვარს დღის 2 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმი ანუ, როგორც ოფიციალურად ცენტრი უწოდებს, ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის არჩეულ წევრთა კრება.

როგორც ჩვენ მკითხველს ეხსომება, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პეტროგრადში ბოლშევიკებმა ხელთ ჩაიგდეს რუსეთის ბედ-იღბალი და რუსეთის დამფუძნებელ კრების შეკრება საეჭვო შეიქმნა. აქ, ამიერკავკასიის ცენტრში, დიდი ადა საჭიროება შეიქმნათ ისეთი ორგანო, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლების უმთავრესი სუბიექტი იქნებოდა მანამდი, ვიდრე შესაძლებელი შეიქმნებოდა მოწვევა და შეკრება რუსეთის დამფუძნებელ კრებისი. ამავე ცენტრს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ის განსაცდელი, რომელსაც ამ კრებას იმ თავითვე უმზადებდნენ ბოლშევიკები, და ამიტომ ცენტრმა გადასწყვიტა: ვინიცობაა ბოლშევიკები გარეკავენ დამფუძნებელ კრებას, ამიერკავკასიაში მოწვეულ იქმნეს საიქაოდ არჩეულ დეპუტატებისგან ცალკე კრება, რომელიც განახორციელებდა და იკისრებდა დამფუძნებელ კრების ფუნქციებს მხოლოდ ამიერკავკასიის საზღვრებში. შიში გამართლდა: პეტროგრადში თავმოყრილი რუსეთის დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებმა ხელადვე დაარბიეს. ამ რიგად შეიქმნა მიუცილებელი საჭიროება ამ დეპუტატთა კრება ანუ სეიმი ადგილობრივ შეკრებილიყო. ამის დაჩქარებას უკარნახებს მთელი რიგი ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალ საკითხებისა, რომელნიც თანდათან იწვავდებიან, ჰქმნიან ურთიერთობაში ანარქიას და მოითხოვენ სწრაფ გადაწყვეტას.

კრებას ხსნის ე. გეგეჭკორი.

ამიერ კავკასიის კომისარიატის დავალებით—იწყებს იგი—ნებას ვაძლევ ჩემს თავს მივესალმო რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრებს, ამიერკავკასიიდან არჩეულებს. ამასთანავე ერთად მოგაგონებთ თქვენ, წევრნო, თუ რა პირობებში შეიქმნა დღევანდელი მთავრობა და რატომ უნდა მოვიხსნათ ჩვენი უფლებანი თქვენს წინაშე.

კომისარიატის თავმჯდომარე მოკლედ იგონებს 11 ნოემბრის ყრილობას, რომელმაც შექმნა კომისარიატი, აღნიშნავს უკანასკნელის სუვერენულ უფლებებს, რომელიც მას მიენიჭა კავკასიის რუსეთისგან იძულებით იზოლიაციის გამო, იხსენიებს, რომ შექმნა ადგილობრივ სუვერენულ მთავრობისა ერთად-ერთი გამოსავალი იყო იმ განსაჭირიდან, რომელიც შექმნეს რუსეთში ბოლშევიკებმა, უამისოდ ანარქია, რუსეთში რომ დატრიალდა, თავის ძალუმ ტალღებით ჩვენც წაგვლეკავდა, ხოლო რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლებათა დაცვა გვიკარნახებდა ასეთი მთავრობა სასწრაფოდ შემდგარიყო.

მაგრამ დღეს სხვანაირი კონიუნქტურაა შექმნილი: დღეს უკვე არიან დამფუძნებელ კრებისთვის არჩეული დეპუტატები და ამიერკავკასიის კომისარიატი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის თქვენს წინაშე მოიხსნას ტვირთი მართველობისა და ქვეყნის მესვეურობა ჩააბაროს კანონიერად არჩეულთ ხალხისას.

მძიმე პირობებში ხდება თქვენი კრება. დღეს რევოლუცია ისეთ განსაცდელშია, რომ თუ კავკასიის დემოკრატია და ყველა ადგილობრივი ერი მჭიდროდ არ შეკავშირდა რევოლუციის დასაცავად და გასამაგრებლად იცოდეთ რევოლუცია და თავისუფლება დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. შინ ანარქიაა, ფრონტი გარღვეულია, დროებითი ზავი, ეხლა რომ არის ფრონტზე ჩამოვარდნილი, ისეთი მკვიდრი არ არის, რომ ხვალინდელობის შიში არ გვქონდეს, ფინანსიური გაჭირვება და სანოვაგის საქმის სრული არეულობა—ყველა ეს ერთად ისეთ მძიმე სურათს ჰქმნის სინამდვილეში, რომ მზადახარ სასო წარგიკვეთოს.

მაგრამ მაინც დიდი იმედი გვაქვს აქაური დემოკრატიისა და ხალხების რომელნიც ხელხელ ჩაკიდებულნი ყველა ამ განსაცდელს თამამად სძლევენ და განსაცდელისაგან თავის უფლენი გამოვლენ.

ჩვენ, ამიერკავკასიის კომისარიატი, დღეს ვიხსნით თავითგან მოვალეობას და ამიერითგან ვხდებით მორიგ რევოლუციონერებად, რათა თქვენთან ერთად დავიცვათ მოპოვებული თავისუფლებანი.

ანგარიშს ჩვენი მოქმედებისას ჩვენ ჩაგაბარებთ მაშინ, როცა ეს კრება თავის თავს გამოარკვევს, მოახდენს სრულს კონსტრუქციას.

შემდეგ ე. გეგეჭკორის სიტყვისა ასახელებენ სათავმჯდომარეო კანდიდატს. **ნ. ჟორდანია** ასახელებს **კ. ჩხეიძეს**, რომელიც ერთხმად არჩეულ იყო. კრება ოვაციებით უმასპინძლდება.

კ. ჩხეიძე. მძიმე ტვირთი დამაკისრეთ. თავმჯდომარეობა ჩემთვის სამძიმოა მიტომ, რომ დღეს საერთოდ მძიმე დროა და არა იმისთვის, რომ დღეს საერთოდ მძიმე დროა და არა იმისთვის, რომ მე გამოცდილება მაკლდეს. თავმჯდომარეობა ჩემთვის ახალი-რამ არ არის. წინადაც ვყავი თავმჯდომარედ და მე ამ მოვალეობას ვასრულებდი, ვიდრე შესაძლებელი იყო. ხოლო როცა შეუძლებელი შეიქმნა, ვსთქვი: ვქენ, რაიცა შესაძლებელ იყო და წავედი. დღეს ისეთი დროა, რომ ყველა საფასურს ფასი დაეკარგა და ვფიქრობ, რომ შესაძლებელია თავმჯდომარეობის იდეამაც დაჰკარგოს თავის ფასი, მაშინ მეც წავალ. ეხლა კი გთხოვთ აირჩიოთ მდივანი.

ნ. რამიშვილი მენშევიკთა ფრაქციის წინადადებას იძლევა მდივნად არჩეულ იყოს ჩვენში ყველაზე უმცროსი.

ირჩევენ **კანტემიროვს** (მაჰმადიანია).

წესრიგის შემუშავების დროს აზრთა სხვადასხვაობა აღმოჩნდა: სამი წინა-

დადება შემოიტანეს: 1) გიგეჭკორია—ეხლავე არჩეული იყოს ახალი მთავრობა, რადგან კომისარიატი დღეს გადადგა; 2) ნ. ჟორდანიას წინადადებით: ჯერ კრება ჩამოყალიბდეს, გამოარკვიოს თავის ძალა-უფლებანი, მოვალეობანი, კომპეტენცია და მერე მან აირჩიოს ახალი მთავრობა; 3) შაჰბაზიანის—წინადადება: ჯერ მოისმინოს მოხსენება-ანგარიში კომისარიატისა და მერე მოხდეს ახალ მთავრობის არჩევა.

ხმის უმრავლესობით (მენშევიკები, ეს-ერები და მაჰმადიანები) მიიღეს ნ. ჟორდანიას წინადადება.

ნ. ჟორდანია. ამ ძირითად საკითხის თაობაზე მე შემდეგი უნდა განვაცხადოთ: ჩვენ არჩეულნი ვართ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების დელეგატებად. მაშასადამე, ხალხმა ჩვენ აქ კი არ გამოგვგზავნა, არამედ თავრიდის სასახლის დარბაზში. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა იქ გავმგზავრებულიყავით და მიგვეღო კითხვების გადაწყვეტაში მონაწილეობა. მაგრამ ჩვენ რომ გზაზე ვიდექით, მოვიდა ცნობა დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ. ასე რომ ჩვენს გამგზავრებას უკვე არავითარი პოლიტიკური აზრი აღარ ჰქონდა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ დამფუძნებელი კრება იქნებოდა ის ცენტრი, სადაც თავს მოიყრიდნენ ყველა პარტიები, ყველა ხალხნი და რომლისგანაც მიიღებდნენ იმას, რასაც მოითხოვდნენ—მკვიდრ პოლიტიკურ წყობილებას. მაგრამ, როცა ეს კრება გარეკილია, ჩვენ უნდა საკუთარი ძალ-ღონით მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, უზრუნველვყოთ ჩვენი მომავალი. აქედან ჩვენ მაინც განვაგრძობთ ბრძოლას დამფუძნებელ კრების იდეისთვის. მაგრამ სანამ შეიკრიბებოდეს ეს კრება, კარს მოგვდგომია მრავალი საჭირბოროტო საკითხი, ათასი გასაჭირი, რომელიც დაკმაყოფილებას, მოგვარებას და გადაჭრას მოითხოვს ჩვენგან. და ჩვენ, ამიერ-კავკასიის დეპუტატები, იძულებულნი ვართ აქ შევიკრიბოთ და აქ გადავწყვიტოთ ადგილობრივი საკითხები.

გვაქვს კი ამის უფლება? დიახ, გვაქვს. ამას გვიკარნახებს საქმის რეალი ვითარება. და ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მთელი რუსეთი არ შეიკრიბება ერთ ცენტრის, საერთო ცენტრის გარშემო.

მაგრამ იტყვიან, რომ ჩვენ ცოტანი ვართ, რაღაც ოცი-ორმოცი კაცი. ამას ჩვენ ანგარიშს ვუწევთ და ვამბობთ, რომ რიცხვი დეპუტატებისა უნდა გამრავლდეს, ე. ი. საარჩევნო მეტრი ერთი სამად უნდა შემცირდეს. ეხლა თუ 60 ათასზე ერთი კაცია არჩეული, მაშინ 20 ათასზე ერთი მოვა. ამ რიგად ჩვენი კრება შეივსება ისეთი ხალხით, რომელიც უფრო ახლოს სდგას ხალხთან და უფრო დაახლოვებით იცნობს მათ ჭირს და ვარამს, რადგან წრე ამომრჩევლებისა დღევანდელზე მცირე და პატარა იქნება. მაშინ ჩვენ გვეყოლება 120 დეპუტატი. და როცა ეს მოხერხდება მოვიწვიოთ მათი კრება და დავარქვათ მას სეიმი. და ამ სახით იგი იარსებებს მანამდე, ვიდრე რუსეთის დამფუძნებელი კრება თავის უფლებებით აღდგენილი იქნება.

ეს სეიმი სეიმადვე დარჩება, რადგან დამფ. კრებამ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ეს კრება მიანიჭებს ყველას უფლებებს.

რაც შეეხება ეხლანდელს ადგილობრივს მთავრობას და მის ნაცვლად ახლის არჩევას, ეს საკითხი სეიმს უნდა გადაეცეს განსახილველად. მანამდე კი ამიერკავკასიის კომისარიატი ძველებურად განაგებს საქმეებს.

ახალს მთავრობას, სეიმი რომ აირჩევს, ხალხის თვალში მეტი წონა და ფასი ექნება.

ამ მოხსენების შემდეგ ესერების და დაშნაკელების ფრაქციებს შემოაქვთ წინადადება: რადგან ფრაქციებს მსჯელობა არ ჰქონიათ, ამიტომ კრება შესწყდეს რამდენიმე ხნით: 5 საათამდე, შვიდამდე ან მეორე დღემდე.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა უკანასკნელს და იგი გავიდა. ამგვარად კრება შესწყდა 23 იანვრის 1 საათამდე.

ზავის გარშემო

რუსეთის დაყოფა.

სანდო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანია ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებს შეთანხმების სახელმწიფოებთან საზავო პირობების გარშემო. როგორც ჩანს, მოკავშირეები თანხმდებიან მოლაპარაკებაზე. განზრახულია დაჰყონ რუსეთი და თვითოეული ნაწილი თავის გავლენას დაუქვემდებარონ. იაპონია და ამერიკა ციმბირს იღებს, გერმანიის გავლენა ვრცელდება პეტროგრადსა და მთელ ჩრდილო რუსეთზე. უკრაინა, განზრახულია, საფრანგეთის გავლენის სფეროში შეიყვანონ, კონსტანტინეპოლი ოსმალებს რჩებათ, ხოლო სრუტეები ნეიტრალური იქნება, ინგლისის გავლენა ვრცელდება კავკასიასა, სპარსეთსა და თურქისტანზე.

დაპყრობილი ადგილების განთავისუფლება.

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაზე სახალხო კომისარების საბჭოს წარმომადგენელთა მოთხოვნაზე დაპყრობილი ადგილების გაწმენდის შესახებ უპასუხა, რომ გერმანია თანახმაა შეასრულოს ეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ტერიტორიის გაწმენდა მოხდეს დიდი სეპარატიული ზავის შეკვრისა რუსეთთან და დასრულდეს ერთი წლის განმავლობაში დღიდან საყოველთაო ზავის დამყარებისა.

მეორე რევოლიუცია

დონის ოლქში.

ბოლშევიკები და კალედინი

როსტოვიდან ივანჯანიანი პირდაპირი მავთულით იტყობინება: ხმები კალედინის შესახებ მართალი არ არის, არავისაც არ უფიქრნია მისი დატუსაღება. დონის ოლქის საზღვრებზე ბრძოლაა ყაზახებსა და ბოლშევიკებს შორის. ბოლშევიკებს ყველგან ამარცხებენ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ ჯარს წინამძღოლობს გერმანელი ფონ-მარსი და მისი თანაშემწე სივერსი. ზურგში კი ბოლშევიკები იმარჯვებენ: დიდ-ქალაქებშიაც—როსტოვში, ნოვოჩერკასკში და სხვაგან—მუშები ბოლშევიკურ მოთხოვნებს ადგენენ. ამის საპასუხოდ ყაზახებმა სამხედრო წესები შემოიღეს. 4 თებერვლისთვის მოწვეულია დონის ოლქის დამფუძნებელი კრება.

ლენინი.

იგივე ივანჯანიანი ლენინის შესახებ შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს: ლენინი ცოცხალია, სახალხო კომისარები დატუსაღებული არ არიან და დიდის ენერგიით და ნაყოფიერებით მუშაობენ. ამ დღეებში განზრახული აქვთ დეკრეტის გამოცემა რკ. გზების ნაციონალიზაციის შესახებ. დამფ. კრების დაპატიმრებულ წევრებს თანდათან ათავისუფლებენ, ხოლო სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია არალეგალურ მდგომარეობაშია. მთელი პრესა დუხჭირ მდგომარეობაშია, თავისუფლება მთლად მოსპობილი აქვს.

ტფილისსა და როსტოვს შუა მავალი სასანიტარო მატარებელი გაძარცვეს და დასწვეს.

ინგლისმა მურმანი დაიკავა.

მოხალისეთა ლაშქარი.

ნოვოჩერკასკიდან პირდაპირი მავთულით იუწყებიან: მდგომარეობა ცუდია. თუმცა ბოლშევიკები ორჯერ დაამარცხეს. მოხალისეთა ლაშქარი როსტოვში თანდათან იზრდება. მრავალი ახალგაზრდა ეწერება ლაშქარში.

კალედინის შტაბი.

კალედინის შტაბი საბოლოოდ დაბინავდა ნოვოჩერკასკში. კალედინმა საგანგებო რაზმი დაამზადა კავკასიიდან მომავალ ეშელონების შესახვედრად. უკანასკნელი ცნობებით კვლავ გაჩაღდა ბრძოლა დონის ოლქის საზღვრებზე.

ბაქოს ბოლშევიკები.

ბაქოს ბოლშევიკებმა დაადგინეს ისარგებლონ ფრონტიდან მომავალ ეშელონების სულიერ განწყობილებით და შეადგინონ ამ ეშელონებიდან „დამრტყმელი მუშტი" ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით.

არეულობა სამზღვარ გარეთ.

როგორც „ფორვერტსი" იუწყება, 16 იანვარს ბერლინში არეულობაში მონაწილეობას იღებდა 250 000 მუშა. ბერლინის მიდამოებიდან მოვიდა კიდევ 50,000 კაცი. დიდ გაფიცვებს ჰქონდა ადგილი ჰამბურგსა, ნიურენბურგსა და კილში. უკანასკნელი ცნობებით გაფიცულთა რიცხვი ბერლინში 700,000 მდე აღწევს. გაფიცვები დიდის სისწრაფით ძლიერდება. დახურეს გაზეთები: „ბერლინერ ტაგებლატი", „პოსტ", „ფორვერტსი" და „დოიტშე ცეიტუნგი".

ომი

იტალიის ბანაკის ცნობა.

13 იანვარს ჩვენ დავიკავეთ კოლ-დელ-როსო და კოლ-დელ შელ, ხოლო 16-ს ვალობელის მთა. გავანადგურეთ მტრის 2 დივიზია. ტყვედ წამოვიყვანეთ 100 ოფიცერი, 2500 ჯარის კაცი, 6 ზარბაზანი, 100 ტყვიის მფრქვეველი და ყუმბარის მფრქვეველი.

დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე პარტიის კლუბში

გაიმართება

კრება-მიტინგი

ამხ. გიორგი ლასხიშვილის თავმჯდომარეობით. მიტინგის საგანი: „ამიერკავკასიის სეიმი და დამფუძნებელი კრება"; სიტყვებს წარმოსთქვამენ ამხანაგები: ს. ფირცხალავა, შ. მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ს. დადიანი, არჩ. ჯაჯანაშვილი და სხვანი.

ორი დღის განმავლობაში 16 აეროპლანი ჩამოვაგდეთ. იტალიის ჯარი განაგრძობს შეტევას აზიაგოს სამხრეთით.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

ფრანგების აეროპლანებმა იერიში მიიტანეს და სროლა ატეხეს სადგურ გლაზეკურს და ცეცხლი გაუჩინეს. მტრის 4 სამხედრო ესკადრამ ფრონტების ხაზით გადაიფრინა, ყუმბარები დაუშინა პარიზს და მის მიდამოებს, ზიანი მიაყენა 3 ჰოსპიტალს: ერთი მათგანი დაიწვა; მსხვერპლი მრავალია. რამდენიმე შეტაკება იყო ჰაერში, გერმანელების ერთი აეროპლანი ჩამოაგდეს, ფრანგების ერთი აეროპლანი იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო.

ადმირალი პრონტი დაინიშნა ბრაზილიის ფლოტში უფროსად ევროპის წყლებში სამოქმედოდ. ბრაზილიამ ინგლისში ავიატორები გაგზავნა. გემებზედ, რომელიც წინ გერმანიას ეკუთვნოდა, ამერიკის ჯარი გადაჰყავთ საფრანგეთში.

ბრიტანიის ბანაკის ცნობა.

17 იანვრის განმავლობაში ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს ყაზარმებს, აეროდრომსა და ბანაკს, ჩამოაგდეს მტრის 20 აეროპლანი. ინგლისელებმა 3 აეროპლანი დაჰკარგეს.

11 იანვარს ღამით მტრის აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისელების ლაზარეთს ბაღდადის მახლობლად. მეორე დღეს, ღამით, ინგლისელების აეროპლანებმა იერიში მიიტანეს ოსმალების მთავარ ბანაკზე და აეროდრომზე.

ამერიკის ჯარი საფრანგეთში

ამერიკის სამხედრო მინისტრმა სთქვა: 33 დივიზია მზად საფრანგეთში გასაგზავნად, ახლო მომავალში საფრანგეთში ჩამოვა ნახევარი მილიონი ჯარის-კაცი და 1 ნახევარი მილიონის გამოგზავნა შესაძლებელია 1918 წლის განმავლობაში.

დარდანელის გარღვევა.

ბათომიდან იტყობინებიან, რომ 9 იანვარს ღამით იქ, რადიო-ტელეგრამა მოვიდა, რომელშიაც იუწყებიან, რომ ინგლის-საფრანგეთის ესკადრამ დარდანელი გაარღვია. ესკადრა, ტრანსპორტთან ერთად 1500 ერთეულისაგან შესდგება.

არეულობა ამიერკავკასიაში

სადგური ულუხანლუ. სპარსეთის გზათა დირექტორი დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: ქურთები დიდის ძალით დაესხნენ არაზდაინის მამულს—გაანადგურეს და დასწვეს ყველაფერი. გაანადგურეს აგრეთვე სოფლები ხურმი და ამაზდაიანი. ემუქრებიან ქარხნების რაიონს, სადაც ქონებას იტაცებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. იღუპება ცეცხლში შეუფასებელი სიმდიდრე. შველა არსაიდან არ არის.

სადგური არარატი. არარატიდან ჩიტაშვილი დეპეშით ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: ეხლა მივიღეთ ცნობა, რომ ქურთებს განზრახული აქვთ ღამით დაესხან სოფ. დავალს და სადგურ არარატს. ქურთების რაოდენობა აღწევს 6000 კაცს. საღამოთ მართლაც გამოჩნდნენ ქურთების რაზმები. ხალხი შიშისაგან თავზარდაცემულია. გთხოვთ გაგვიწიოთ სწრაფი დახმარება.

დეპეშა ინჟინერ კოზეკოს. ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსი დეპეშით ატყობინებს განჯაში ინჟინერ კოზეკოს, რათა მიიღოს ზომები და აღადგინოს ის განადგურებული სადგურები, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ მოძრაობისთვის.

დეპეშა მუსულმანთა ორგანიზაციებს. სადგურ ტფილისიდან—ბაქომდის ყველა მუსულმანთა ორგანიზაციებს, სადგურების უფროსებს, [illegible] ცენტრალურ კომიტეტს, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კომისარებმა ჯაფაროვმა, ხას-მამედოვმა და მელიქ ასლანოვმა:

შეუწყნარებელია მომავალში უკანასკნელ ამბების გამო შექმნილი მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია წამსვლელ ეშელონებთან ბრძოლამ. იარაღის ასაყრელად, რომელიც სამწუხაროდ მოხდა გაუგებრობის გამო, რადგან ყოვლად შეუძლებელია ასე მოვექცეთ იმ ჯარის-კაცებს, რომელნიც სამი წლის განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ კავკასიის ფრონტზე ჩვენ დასაცავად. ვთხოვთ მუსულმანებს, რომლებიც ცხოვრობენ რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად არავითარი დაცემა და შებრძოლება არ განიზრახონ მიმავალ ეშელონების წინააღმდეგ. ასეთი მოქმედება იწვევს პროვოკაციას და ამხედრებას ერთი ერის დემოკრატიას მეორე ერის დემოკრატიის წინააღმდეგ. მასთან ერთად შეაქვს დიდი არევ-დარევა მცხოვრებთა შორის, და მით უმეტეს ცუდ მდგომარეობაში აგდებს ამიერკავკასიის მცხოვრებთა ნაწილს, რომელიც უგზოობის გამო განიცდის ყოველ მხრივ შევიწროებას და სიმშილს. რათა სასირცხვო ლაქა არ მოეცხოს მთელ ერს ვთხოვთ ორგანიზაციებს ეხლავე შეუდგნენ იმ ყაჩაღებისა და ბრბოთა ალაგმვას რომელნიც იწვევენ ხალხში ასეთ არევ დარევას. მიიღეთ ყოველივე ზომები რკინის გზის და ქონების დასაცავად, რომელიც შეადგენს მარტო კუთვნილებას და დაიცავით რკინის გზის მოსამსახურენი, რომელნიც გმირულად იცავდნენ თავიანთ პოსტებს.

დელეგაცია მთიულებთან. მთიულებთან გაგზავნილი დელეგაცია ქართულ ეროვნულ საბჭოსა და ამიერკავკასიის კომისარიატისაგან მთიულებს დიდი პატივისცემით მიუღიათ. როგორც ჩამოსული დელეგატები იტყობინებიან, კაზბეგში სიწყნარეა, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ქართული სამხედრო გზა და დარიალის ხეობა სავსებით განათავისუფლეს ინგუშებმა. შესაძლებელია ახლო მომავალში აღდგეს სატრანსპორტო მიმოსვლა. კაზბეგში ჰფიქრობენ, რომ მალე მოწესრიგდება რკინის-გზის მიმოსვლაც, რაც საშუალებას მოგვცემს დაუბრკოლებლივ შემოვიტანოთ ყოველივე საჭიროთი ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ქალ. ბათუმი. ქალაქ ბათუმიდან იტყობინება ქალაქის თავი საბახტარიშვილი, რომ ფულების უქონლობის გამო, მდგომარეობა ძლიერ ცუდია. კრედიტის უქონლობის გამო სატრანსპორტო გემებს არ გადაჰყავთ ჯარის კაცები. გთხოვთ სასწრაფოთ მიიღოთ ზომები და დაგვეხმაროთ.

ახალი ამბავი

◆ **სასტუმროზე თავდასხმა** 22 იანვარს საღამოს 7 საათზე სასახლის ქუჩაზე სასტუმრო „სევერნიე ნომერაში" მოსულა შვიდი შეიარაღებული კაცი. შესულან მე-43 ნომერში; რომელშიაც სცხოვრობდენ კომერსანტები დუმბაზიანი და არაპიანცი. იმ დროს ორივენი სახლში ყოფილა, რომელნიც ძლიერ გაუძარცვავთ. წაუღიათ დაახლოებით 60000 მ. ძვირფასი ნივთები. შეიარაღებულთაგანი ერთი ყოფილა ოფიცრის ფორმაში, დანარჩენები კი ჯარისკაცის ტანისამოსში. ჯერ ჯერობით ბოროტ განზრახველების კვალს ვერ მიაგნეს.

◆ **ტყვიბულის ქვა ნახშირის** მაღაროების მუშებმა წარუდგინეს მოთხოვნილებანი ეკონომიური ხასიათისა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს, რომელმაც, ამ მოთხოვნილებების გასარჩევად მიმართა შრომის კომისარს. ხოლო ამ უკანასკნელმა სთხოვა შრომის საგუბერნიო კომისარს—რათა გაარჩიოს ეს საქმე და სეჩქაროთ წარუდგინოს კომისარიატს.

◆ **ამიერ კავკასიის კომისარიატის** შტაბის მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს კომისარიატს—რათა მიეცეთ ერთდროული დახმარება—400 მან. როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთ. კომისარიატმა განიხილა მათი მოთხოვნილება და დაადგინა რომ რადგან ისინი ჯამაგირს იღებენ ტარიფის მიხედვით ამიტომ ერთდროული დახმარება არ ეკუთვნით.

◆ **ქურთების თავდასხმა.** სადგურ არარატიდან—ჩიტაშვილი ატყობინებს დეპეშით ამიერკავკასიის კომისარიატს შემდეგს: დღეს, 21 იანვარს ქურთებმა მოახდინეს თავდასხმა ზანგზე და სადგურზე—ძლიერ ესროდნენ სად. არარატს სამი საათის განმავლობაში მაგრამ ქურთები უკუვაგდეთ. ბევრია მოკლულ-დაჭრილი. სად. არარატის მოსამსახურენი ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს.

◆ **ახალი სასამართლოები:** იუსტიციის კომისარმა შალვა მესხიშვილმა მომრიგებელ სასამართლოს ინსტიტუტის რეფორმების დასაჩქარებლად—სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას დაჰყოს ქალაქი 23 ტერიტორიალურ ნაწილად და აცნობოს თუ თითოეულ ნაწილში რომელი ენაა უფრო გავრცელებული.

◆ **ტფ. ვაჭარ-მრეწველთა კრება** 19 იანვარს მოხდა კრება ტფ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს დეპუტატებისა—გასარჩევი იყო ტფ. ვაჭარ-მრეწველთა პალატის დაარსების საჭიროება, თათბირის შემდეგ კრებამ დაადგინა მოიწვიოს, კომისია სხვა და სხვა დარგების წარმომადგენელთა საკითხის სავსებით გამოსარკვევად. თავის მხრით საბჭომ აირჩია კომისიაში წარმომადგენლად ორი კაცი.

◆ **ეროვნულ საბჭოს** მოწოდების გამო კოოპერატივ „მერანის" გამგეობამ დაადგინა: წლიურ კრებას წინადადება მისცეს წმინდა მოგებიდან სამი ათასი მანეთი გადასცეს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

◆ **ქართულ გიმნაზიის** უფროსი კლასების მოსწავლეთა საერთო კრებამ 23 იანვარს იმსჯელა ქართველი ერის განწირულ მდგომარეობის და მეტად გართულებულ მომენტის შესახებ და ერთხმად გადასწყვიტა: ყველა მოწაფე, ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება, დღესვე ჩაეწეროს ქართულ ეროვნულ ლაშქრის ნაწილებში, რათა ამით მოუმზადოს ნიადაგი ქართულ ჯარის მობილიზაციას, რომლის მიზანია ერისა და რევოლიუციის დაცვა.

◆ **ხურსათი.** 21, 22 და 23 იანვარს ტფილისში შემოვიდა 6 ვაგონი პურისფქვილი, 4 ვაგონი პურის ხორბალი და 1 ვაგონი ქერი.

◆ **ახალქალაქი.** ახალქალაქის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე შავარშ-დემირგალიანი დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ 21 იანვარს ახალქალაქის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში ახალქალაქის, როგორც ეთნოგრაფიული ისე ეკონომიური მხარე დაადგინა: შეუერთოს ახალქალაქი ადმინისტრატიულად ალექსანდროპოლის მაზრას, და ეხლავე შეუდგეს მაზრაში ერობის შემოღებას.

◆ **წვრილი ამბები.** სროლისათვის ქუჩაში მიუსაჯეს 2 თვის ციხე: პეტრე მესტვირიშვილს, ალექსანდრე კაზაროვს, იოსებ ხუნაშვილს, ფრანც პავლოვიჩს.

◆ სპირტის გაყიდვისთვის მიუსაჯეს ორი თვის ციხე იოსებ ბარიაშვილს, არ. პოგოსოვს—3 თვის ციხე, სამსონ და ეფრემ ბილანაშვილს 2 თვის

◆ სახაზინო საქონლის ყიდვისთვის მიუსაჯეს ორი კვირით დაპატიმრება ილია ჯაგუევს.

◆ სახაზინო იარაღის გაყიდვისთვის გადაუწყვიტეს 2 თვის ციხე არ. არაკელოვს.

◆ ნიხრის ზევით ხორცის გაყიდვისთვის—სადიხ-მამედ ოღლის მიუსაჯეს 1 თვის ციხე. ამავე დანაშაულისთვის სამსონ სირაძეს 3 თვის ციხე.

◆ **ეროვნულ საბჭოს** საფინანსო სექციის დადგენილებით თედო ღლონტი იგზავნება ქუთაისის და ბათომის გუბერნიებში ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ საშუალებათა გაძლიერებისათვის სამაზრო საკოოპერაციო ყრილობების მსგზავსად ტფ. გუბერნიისა.

◆ **ელლინელთა შორის.** ამიერკავკასიელ ელლინთა ყრილობა დასრულდა. ყრილობაზე მიღებულია საპოლიტიკო, სამხედრო, საორგანიზაციო, საეკონომიო, საეკლესიო, სასკოლო და სხვა რეზოლიუციები. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო—12 კაცია: პარასკევოვი, ლაზარიდი, ბასტიონოვი, სპილიოტი, კუნდუროვი, ზუნტურიდი, სიმფოროვი, აკრიტასი, სატიროვი, ეფიმიადი და სანგარევსი. ექვსიც კანდიდატი: მარინოსოვი, ფიოპული, შ ხ. გაზოვი, ანდრიანოვი, პოპონდოპულო და კოიზოვი. ეროვნულ საბჭოსთან არსებობს სამხედრო საბჭოც შემდეგი შემადგენლობით: ელლინელ მსროლელთა დივიზიის უფროსი პოლკ. აბანინი, დივიზიის შტაბის უფროსი შტ-კაპ. ნიკოფორაკი, პოლკის მბრძანებლები: 1. პოლკ. კლინკაროვი, 2. პოლკოვნიკი აფანასიევი, 3 პოლ. ევანგელიდი, არტილერიის უფროსი, პანდაზიდისი, ექიმი სიმფოროვი და დივიზიის კომენდანტი. ამათ გარდა სამხედრო საბჭოში შედის სამი პირი ეროვნულ საბჭოსი: პოლიტოვი, პარასკევოვი, სეკრეტარი, ბასტიონოვი ხაზინადარი სინგარევსი.

◆ **ტფილისის ქართულ სასულიერო** სემინარიაში თავისუფალია ინსპექტორის თანაშემწის ადგილი. წლიურ ჯამაგირად მიეცემა—1300 მ. 6 გაკვეთილისა—450 მ. და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის—180 მ. ამას გარდა, დამსახურებულნი მიიღებენ ხუთწლოვან დამატებებს—400 მანეთს ყოველს ხუთი წლის ნამსახურისას. მსურველთ თხოვნები შესაფერი საბუთებით უნდა გამოგზავნონ ხსენებულ სემინარიის საპედაგოგიო საბჭოს ან რექტორის სახელობაზე.

◆ **ქართული უნივერსიტეტი** გახსნება 26 იანვარს და მეცადინეობა დაიწყება 27 სტუდენტად ჩაწერა კი შეწყდება 25 იანვარს.

◆ **აკაკის სახელობის საბავშვო** ბაღის სასარგებლოდ 2 თებერვალს ქართულ კლუბში გაიმართება საბავშვო წარმოდგენა.

◆ **მადლობის გამოცხადება.** გვთხოვენ შემდეგი დაუბეჭდოთ: ვაქირის ბიბლიოთეკის გამგეობა მადლობას უცხადებს ვანო ნანობაშვილს, რომელმაც „სახალხო საქმე", გამოუწერა ბიბლიოთეკას.

სოფლად და ქალაქად

გორი

◆ ადგილობრივ სავაჭრო გიმნაზიაში გაფიცვა გათავდა და სწავლაც დაიწყო ისევ.

◆ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ისე ფცქვნიან და სძარცვავენ ხალხს, როგორც თვითონ ეპრიანებათ. არავინ არის პატრონი, არც კომისარიატი, არც ქალაქის გამგეობა, არც საზოგადო დაწესებულებანი და ორგანიზაციები. კალოშს ურცხვად აფასებენ 65—100 მანეთამდე წყვილს. სხვაზე უარესს სჩადიან.

◆ ხორცი საქონლისა იყიდება გირვანქა 1 მ. 50 კ., პური 60 კ გირვან. ურემი შეშა 30—80 მან., კვერცხი—35 50 კ. თითო, ქათამი 5—8 მან., ინდოური 15—30 მან.

◆ კარგა ხანია ქალაქში ნავთი აღარ იყიდება და ხალხი ბნელაში ატარებს დროს. მიზეზი—ნავთი აღარ მოდისო. მედუქნეებმა ამითიც ისარგებლეს და ნავთი გადამალეს. ამ დღეებში ერთი მედუქნე სთხოვდა ერთ გლეხს—ჩამომიტანე ფქვილი და ყოველ ორ გირვანქაში ერთ გირვანქა ნავთს მოგცემ რამდენიც გინდაო. გლეხმა გირვანქაში გირვანქა ფქვილი აძლია, მაგრამ მედუქნემ იცრუა. ნავთი გადამალული აქვთ ზოგან კერძო სახლებშიც და გირვანქაში სამ აბაზს თხოულობენ.

◆ გაძნელდა გაზეთის შოვნა უვარგისი აგენტის წყალობით. ხალხი გაცხარებული დარბის ხოლმე საყიდლად, მაგრამ მეტ წილად ვერ შოულობს, და თუ იშოვნა სადმე, ხუთ შაურს აფასებენ. საჭიროა ამას მიაქციოს რედაქციამ ყურადღება.

◆ რადგან ლოთობამ ფართე ხასიათი მიიღო, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭომ დაადგინა: ვინც წესიერებას დაარღვევს დაპატიმრებულ იქნეს ორი თვით, ხოლო თუ დანაშაული კიდევ განიმეორა, დააპატიმრონ დამფუძნებელ კრებამდე.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ტფ. ს.-ფ. მუშათა კავშირის გამგეობის კრება.

— **სამკითხველო.** ჩვენი მოწაფეთა სახელობის სამკითხველოს მომწყობი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველო მიმავალ თვეში გაიხსნება, რაიც ამხანაგთაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს! საჭიროა (თუნდ საყიდლადაც) მეტი წიგნები, მაგიდა, შკაფი და სხვა. კომისია ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს საღამოობით იკრიბება (სემინარიის ძველ შენობაში).

— **კრება კუკიაში.** შაბათს, საღამოს 5 ნახევ. საათზე. კუკიის საუბნო კომიტეტის ბინაზე (ჩერქეზიშვილის ქ. № 29) გაიმართება საუბნო კრება. კრების საგანია ამიერკავკასიის სეიმი და საქართველოს დამფუძნებელი კრება. 2. არჩევნები საგუბერნიო კრებაზე დელეგატების. მომხსენებელია ამხ. მიხ. საყვარელიძე. კრება შესდგება რამდენი კაციც არ უნდა დაესწროს.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი

ომში დაშავებულთა დახმარების დებულება.

ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა ომში დაშავებულთა დახმარების შემდეგი დებულება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს იმ საბჭომ, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატთან არის დაარსებული.

1. ამიერ-კავკასიის კომ. არსდება ომში დაშავებულთა დახმარების საბჭო.

2. საბჭოში შედიან: თავმჯდომარედ—ამიერკავკასიის კომ. წევრი, რომელიც ომში დაშავებულთა მზრუნველობის საქმეებს განაგებს; წევრებად: ომში დაშავებულთა დახმარების ამიერკავკასიის კომისარი, ჯარის-კაცთა ოჯახებზე მზრუნველობის კომისარი, თითო-თითო წარმომადგენელი დაშავებულ მეომართა სრ. რუს. კავშირის, სასანიტარო ნაწილის, ამიერ-კავკ. სამხედრო-სასანიტარო საბჭოსი და სხვ.

შენიშვნა 1, საბჭოს უფლება აქვს გაადიდოს თავის შემადგენლობა.

შენიშვნა 2, ომში დაშავებულთა დახმარების კომისარს და ჯარის-კაც. ოჯახებზე მზრუნველ კომისარს ნიშნავს ამიერკავკასიის კომისარი.

3. საბჭოს სხდომები კანონიერია, როდესაც დაესწრება არა ნაკლებ ნახევარი შემადგენლობის. საკითხები წყდება ხმის უბრალო უმეტესობით. თუ არ გამოცხადდა საჭირო რიცხვი წევრებისა, კრება უნდა გადაიდოს, შემდეგისთვის. მეორეთ დანიშნული კრება კანონიერია რამდენიც უნდა დაესწროს.

4. საბჭოს მიზანია: ა) დაეხმაროს ომში დაშავებულთ, ბ) შეაერთოს ამ დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაცია, გ) და შეუწყოს ხელი ამგვარი ორგანიზაციების დაარსებას.

5. დასახულ მიზნების მისაღწევად, საბჭო: ა) იმუშავებს ზომებს და პროექტებს საგუბერნიო, სამაზრო და სხვ. ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ, ბ) უწევს სამედიცინო, მატერიალურ, იურიდიულ და სხვ. დახმარებას ომში დაშავებულთ. გ) აგროვებს ცნობებს ომში დაშავებულთა შესახებ, დ) თვალყურს ადევნებს შემოსავალ-გასავალს საგუბერნიო, და სარაიონო კომიტეტებში, ე) ჰპოულობს საშუალებას კომიტეტის თანხის გასაძლიერებლად, ვ) იმუშავებს და ამტკიცებს ადგილობრივ კომიტეტებისათვის დებულებებსა და ინსტრუქციებს, ზ) იხილავს და ამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას, თ) ამუშავებს პროექტებს სპეციალურ საავადმყოფოებისას.

6. საბჭოს აღმ. კომიტეტად ითვლება „საბჭოს ბიურო", რომელიც უნდა დაარსდეს საბჭოსთან და შესდგება 5 კაცისაგან: თავმჯდომარის, მდივნის, ტფილისის დაშავებულთა კავშირის წარმომადგენლის და ორი წევრისაგან. თავმჯდომარეს ნიშნავს ამიერ-კავკასიის კომისარიატი. მდივანს და ორ წევრს ირჩევს ამიერკავკასიის დაშავებულთა დამხმარე კომიტეტი, ხოლო დაშავებულთა წარმომადგენელს და ყველა სხვა არჩეულ პირებს ამტკიცებს ამიერკავკ. კომისარიატი.

7. საბჭოს ბიურო განაგებს საბჭოს ყველა საქმეებს, ამზადებს ანგარიშებს, სისრულეში მოყავს საბჭოს დადგენილებები, იხილავს საგუბერნიო და სხვა კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას და უდგენს მათ საბჭოს.

8. საბჭოს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, ბიუროს თავმჯდომარე და საბჭოს არა ნაკლებ ხუთი წევრისა.

9. ბიუროსთან არსდება საქმის საწარმოო კანცელარია, რისთვისაც საჭირო პირებს იწვევენ დაშავებულთა რიცხვიდან და მათ ოჯახობიდან.

10. ბიუროს ხარჯები ეძლევა თანახმად საბჭოს მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელსაც ამიერკავკასიის კომისარიატი ამტკიცებს.

11. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი წარწერით: „ომში დაშავებულთა ამ.-კავკ. დამხმარე საბჭო".

სახალხო მასწავლებელთა შორის

ოქმი

სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საზოგადო ყრილობის 7 იანვარს 1918 წ.

მასწავლებელთა კრება გაიხსნა დღის 12 ნახევარ ს., თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. მეფარიშვილი მდივნად—ნ. ქამუშაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი 5 კითხვა: 1) მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა, 2) ერთდროული დახმარება, 3) მასწავლებელთა სამხედრო სამსახურში გაწვევა, 4) ინსპექტორის არჩევა და 5) ინციდენტი ლორთქიფანიძის სკოლაში,

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს თათარიშვილი; მოითხოვს რომ ჯამაგირები გადიდებულ იქნეს 300 მანეთამდის, აგრეთვე დაჩქარდეს კომისარიატის მიერ გადაჭრილი თანხის რაოდენობის მიღება. შემდეგ თავმჯდომარე მომხსენებლის დებულებებსა და მოსაზრებებს დასკვნას უკეთებს. იმართება შეკამათება. მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მასწავლებელთა ფიზიკური არსებობისათვის აუცილებლად მიგვაჩნია დაუყონებლივ გადიდებულ იქმნეს ძირითადი ჯამაგირი თვეში 200 მან., ხოლო სიძვირის გამო სამხედრო დამატება 100 მან, ბინა, გათბობა და განათება; კომისარიატის მიერ დაკანონებული 210 მან. თვიური ჯამაგირი 1 ოკტომბრიდან და 400 მან. ერთდროული დახმარება საჩქაროთ დაურიგდეს მასწავლებელთ. ჯამაგირის ასეთი განწესება უნდა ვრცელდებოდეს ყველა ტიპის დაწყების სკოლათა მასწავლებლებზე (პირველ დაწყებითი, უმაღლესი და სამრევლო) ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად დღიდანვე გამოცხადებულ იქმნას გაფიცვა, სანამ მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული. გაფიცვაში მონაწილეობენ ყველა დარგის დაწყების სკოლათა მასწავლებლნი. ადგილები გამოცხადებულია ბოიკოტის ქვეშ გაფიცვის დროს. ჯამაგირები მასწავლებლებს ეძლევათ,

სამაზრო გაფიცვის ბიუროში არჩეულ იქნენ: არტემ ღვამბერია, ძამუ კეკელია და ვერა ცომაია.

მასწავლებელთა მობილიზაციის შესახებ დადგენილ იქმნა: რევოლიუციის საჭიროება თუ მოითხოვს, ჩვენ მზადა ვართ წლოვანების განურჩევლად თოფქვეშ დავდგეთ, ქალი მასწავლებლებიც შესაფერ დარგებში ჩაირიცხებიან. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტთან დამოკიდებულებას, მასწავლებლობა მხარს უჭერს მას (დეკრეტს) და უარყოფს ყოველ გვარ შუამდგომლობის აღძვრას, რომელიც მასწავლებელთა სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების პრინციპზე იქნება აშენებული. ინსპექტორის არჩევნების შესახებ მცირე კამათის შემდეგ საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ლორთქიფანიძის სკოლაში მომხდარ ინციდენტის გამოსაძიებლად არჩეულ იქნა კომისია. კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. მეფარიშვილი, ფ. ჩოჩია და მ. კეკელია.

თავმჯდომარე გედ. მეფარიშვილი.
მდივანი ნ. ქამუშაძე.

რკინის გზის კონტორჩიკების პროფ. კავშირი და მისი დაუძინებელი მტრები.

მოქალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით პასუხი გავცეთ ისეთ უღირს ამხანაგებს, რომლებმაც ჩვენ შესახებ მოათავსეს წერილი ერთობის მე-12 №-ში, რათა თავიანთი პროვოკაციული მოქმედებით სახელი გაუტეხონ პროფ. კავშ. წმინდა დანიშნულებას. როგორც ეტყობა იმ წერილის ავტორი (რომლის გვარის გამოცხადება გაზეთში ღირსად არ მიმაჩნია) მეტად დიდი ხანი წვალებულა, რომ თავისი წერილი პოეტური ენით მოექარგა, მაგრამ მისდა საუბედუროდ ეს ვერ შესძლო, ისევე ვერ შესძლებს თავისი პროვოკაციული მოქმედების განხორციელებას.

საქმე შემდეგშია: როდესაც დაარსდა პროფ. კავშირი ყოველ კრების დროს იმ წერილის ავტორი და მისი თანამოაზრენი (რიცხვით ოთხი კაცი) ისეთ მოქმედებას იჩენდნენ, რომ სუყველა ნათლად ხედავდა, თუ რაც მოჰყვებოდა მათ ნარჩევ აზრებს. ხშირად მათი სიტყვა იმ წერტილამდე მივიდოდა, რომ იარაღით ხელში აპირობდნენ ერთი-ერთმანეთზე მისვლას. რას მიეწერებოდა მათ მხრივ „სკანდალის" გამოწვევა, თუ არ კავშირის ჩაშლის განზრახვას, რისაც ყოველი წევრი კავშირისა ადვილად მიხვდა. ეს იყო მიზეზი, რომ იგინი გაძევებულ იქმნენ გამგეობიდან, და რა თქმა უნდა გაძევებამ უფრო გაასკეცა მათი „ბოროტი სული", რისთვისაც მზათ არიან ლახვარი ჩასცენ პროფ. კავშირის მიზანს.

გულის ფანცქალით ელოდნენ რამე მიზეზის გამოძებნას თუნდ ყალბიც ყოფილიყო, რომ მთელი აურ-ზაური აეტეხათ. მაგრამ გაუფრთხილდნენ, რომ იმ ტალახში რა ტალახშიაც უნდათ ჩვენი ამოთხვრა, თვითონვე არ ამოითხვარონ. დიახ, იცოდნენ, რომ მათი იდეა—უკვე დამარხულია.

რაც შეეხება იმას, რომ გაფიცვისათვის ვემზადებოდეთ ესეც სრული სიცრუეა. საქმე შემდეგშია: სუყველამ იცის თუ რა მდგომარეობაშიც არიან რკინის გზის მოსამსახურეები. იგინი განიცდიან ისეთ აუტანელ ტანჯვას და შიმშილს, რომ დღეს თუ ხვალ იფეთქებს მათი ოჯახების გლოვილი. და ამ გაჭირვების დროს ჩვენ, გამგეობის წევრებმა, რომ ვიფიქროთ, რით ავაცდინოთ მოსამსახურეებს თავიდან ეს უბედურება, ნუ თუ ეს დასაგმობია? მაშ რისთვის გამოგვეცხადა ნდობა 400 კაცმა? რისთვის უნდა ვატაროთ გამგეობის სახელი, თუ ამ გაჭირვების დროს გვერდს ავუქცევთ, მოსამსახურეებს მივცემთ თავს და ღვთის ანაბარად დავტოვებთ ისედაც უუფლებოდ დატოვებულ ამხანაგებს? როდისღა უნდა გამოვადგეთ მათ, თუ არ დღეს?

დიახ, დაფიქრდეს ყოველი შეგნებული მოქალაქე ამ კითხვაზე და თვითონვე იმსჯელოს ამ საქმის შესახებ. ხოლო იმ წერილის ავტორს და მის თანამოაზრეებს კი—ვუცხადებთ ჩვენ მხრივ პროტესტს პროვოკაციულ მოქმედებისათვის. დეე, ყოველმა შეგნებულმა ამხანაგმა გაასამართლოს ჩვენი და მათი მოქმედება.

კონტორჩიკების პროფ. კავშირის
თავმჯდომარე ალ. მაისურაძე.

მოწერილი ამბები

კაცხის საზოგადოება (ზემო იმერეთი). სოფელი ვნახე ძმალლო შიგ გავიარე უკოხოგო!

სწორედ ასეთს—წარმოადგენს დღეს კაცხის საზოგადოება, არც ერთი შეგნებული ხალხის გულ-შემატკივარი ადამიანი აქ არ მოიპოვება. სწორედ რომ უკოხოთ დაძრწიან ბნელი ძალები და როგორც უნდათ ისე მოქმედობენ, როგორც უნდათ, ისე ძარცვავენ ხალხს. რომელი დაწესებულებაც არ უნდა აიღოთ: ბანკი, კოოპერატივი, სოფლის სამმართველო ყველგან პირადი ინტერესებით გატაცებულებს მოუყრიათ თავი, ყველანი თავის ჯიბეს დასცქერიან, ყველა შესამჩნევ ბატკანსავით მისჩერებია ხალხს და თვალები იმაზედ აქვს გამოჭიმული, თუ როგორ გაძარცოს ტყავი სოფელს. და წარმოიდგინეთ ისე გათამამდნენ ეს ვაჟბატონები, რომ წვრილ-წვრილად მითვისებულ ხალხის ნაოფლარს აღარ დასჯერდნენ და 8 იანვარს საღამოს ახალ დაბინდებულში გაიტაცეს „ზაპასნოების" დასარიგებელი ფული 18,000 მან. მერე ვინ გაიტაცა? თვით ხალხისაგან ნდობით აღჭურვილმა ამ სოფლის კომისარმა ი. ხიჯაკაძემ, მილიციონერმა შ. ავალიშვილმა და ამ საზოგადოებაში მოადგილე ჩარჩმა ნ. ხიჯაკაძემ. გაიტაცეს სულ იოლად: ფული ზესტაფონში წაიღო ი. კომისარმა და იქიდანვე გაუტანებია ნ. ხიჯაკაძისათვის, თვითონ—კომისარი და შ. ავალიშვილი როცა დაბრუნდნენ სამმართველოს 300 საჟენზე ერთი სროლა ასტეხეს. ხალხი სროლაზე მოსცვივდა და ნახეს გულ-აღმა დაცემული კომისარი, რომელიც დრიალებდა:—მიშველეთ, ფეხი მომტეხეს და ფული ქე წამართვეს ყაჩაღებმა! ფეხი ცოტათი ჰქონდა გაკაწრული თოფისაგან. (რასაკვირველია შეშინებულმა ფეხის დაშავებისა და კანსა და რბილ შუა გაატარებინა ტყვია). მეორე დღეს ხალხი საჩქაროდ შეიკრიბა. ყველამ ეჭვი მიიტანა მათზე და ერთ ხმად მოსაკლავად მიიწიეს. მერმეთ ერთი გამოიყვანეს, თოფი ესროლეს შესაშინებლად და ვითომ მოჰკლეს. სხვებს უთხრეს:—აბა წამოდით თქვენც ისე უნდა დაგხოცოთო. სოფლის გმირები შეშინდნენ და გამოტყდნენ თავის მოქმედებაში. ფული უკლებლივ ამოაჩინეს ჩარჩთან. ჯერ-ჯერობით გადარჩნენ ეს ვაჟბატონები საკვდილს და დაკავებულები არიან. ეხლა საჭიროა საზოგადოებისათვის კომისარი, საჭიროა კოოპერატივის და ბანკის გამგეები, ძველების დაცვლა უნდათ, რადგანაც საკმაოდ გაძარცვეს ტყავი ხალხს და ყველამ იგრძნო ტკივილი. მაგრამ აქ დიდი დაბრკოლება სჭირდება ხალხს, რომ კიდევ ისე არ გაიყვლიპონ, როგორც აქამდის—დრო არის ხალხმა თვალი გაახილოს და ისეთ პირებს ჩააბარონ სახალხო საქმეები, რომლებიც ნამდვილი გულშემატკივარნი არიან ხალხის, სინიდის პატიოსნების მქონენი არიან და რომლებიც შეგნებულად გაუძღვებიან საზოგადო საქმეებს.

პარ. კიცხელი.

გამომცემელი
სოც.-ფედერალისტთა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—[illegible] გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—91. 683

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ გორდანოვის ქ. № 6.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 39. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-ქუჩის ქ., № 3. 55

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბაზლოვის ქუჩა, № 7. 3180

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
დ. ღ. [illegible]
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: [illegible] მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩის № 23/31. 1004

ექიმი
[illegible]
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს. [illegible]. მისამართი: [illegible] ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი ხვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონტის" პირდაპირ. 1029

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმ ნავახარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვა: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი. 1001

კოოპერატივ „მეურნეს" მდგომარეობა ანგარიშებით 5 იანვარს 1918 წ.

I სალარო.

1918 წ. 5 იანვრამდე შემოვიდა	968352 28
„ „ გავიდა	964830 93
ნაშთი 1918 წ. 5 იანვარს	3521 35

II საქონელი.

საანგარიშო წელს შეძენილია საქონელი	6 6896.94
მოგება გაყიდულ საქონელზე	70336.64
სულ	687243.58
წლის განმავლობაში გაიყიდა და სხვა	618936.19
1918 წ. 5 იან. ნაშთი საქონლისა ნაყიდობით	68306 39

III ანგარიში სხვა და სხვებთან

საანგ. წელს მივიღეთ საქონით, ნისიით ფულით, ხელდ. ანგარიშით	595283.63
მივეცით	590121.87
ნისიით მეტია გასესხებულზე	5161.76
საანგ. წელს ჩვენა გვმართებს	56704.04
„ ჩვენი მართებთ	51542 28
ჩვენა გვმართებს	5161.76

IV საერთო ხარჯების ანგარიში

საანგ. წელს დახარჯულია	52235 92
„ უკან დაბრუნებულია	3217.65
სულ ხარჯია	49018 27

V საწევრო თანხის ანგარიში.

1918 წ. 5 იანვრამდე შემოტანილია 2984 წევრისა	34750.50
„ უკან დაუბრუნდა 143 წევრს	1402—
არის 2841 წევრის	33348 50

VI სათადარიგო თანხის ანგარიში.

საანგ. წ. შემოვიდა საწევრო	2983.—
„ გაყიდ. წიგნაკების	476.45
„ სხვის სახელზე გადაწერით	13.—
„ % ამ ბანკიდან	35 24
სულ.	3508.59
უკან დაბრუნებული	2.—
1918 წ. 5 იანვ. სათადარიგო თანხა	3506.69

VII მოგება ზარალის ანგარიში.

ზარალი		მოგება	
ხარჯები	49018 27	საქონელზე	70346.64
წმინდა მოგება	21328.37		
	70346.64		70346.64

ბალანსი

აქტივი		პასივი	
სალარო	3521.35	ჩვენ გვმართებს	56704.04
საქ. ნაშთ.	68306 39	საწევრო თანხა	33348.50
ჩვენი მართებთ	51542.28	სათადარიგო „	3506.69
	123370.02	1916 წ. გაუნაწ. მოგება	8482.46
		1917 წ. წმინდა მოგება	21328.37
			123370.02

გამგეობა
თავმჯდომარე—ნ. წვერავა.
თავმჯდ. ამხანაგი თ. ღლონტი.
მდივანი ხ. დადიანი.
ხაზინადარი ა. დგებუაძე.
წევრი გ. ტორონჯაძე.

სტამბა „სახალხო საქმის" [illegible] ქუჩა, სახლი № 14